4. დასავლეთ საქართველო ოსმალეთ-ირანის ომის დროს

1578 წელს ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობის შედეგად სამცხე-საათაბაგო, ქართლი, კახეთი, შირვანი ოსმალეთმა მორჩილების სხვადასხვა პოლიტიკური ფორმით დაიმორჩილა, თუმცა ამ ქვეყნებში ოსმალეთის საბოლოოდ გამარჯვებისათვის კიდევ ბევრი რამ იყო საჭირო.

1579 წელს სულთნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ხელთ ეგდო დასავლეთ საქართველო. მისი დაპყრობის შემთხვევაში ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა შავი ზღვის ნაპირიდან გადაეყვანა თავისი ჯარები, სამხედრო აღჭურვილობა და სურსათ-სანოვაგე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და გაეგრძელებინა ომი ამიერკავკასიისა და ირანის წინააღმდეგ.

ოსმალებმა ჯერ კიდევ 1553-1555 წლების ოსმალეთ-ირანის ომის დროს სცადეს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის დაპყრობა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.[4]

1578 წელს, ამიერკაეკასიაში ლაშქრობის დაწყებამდე, ლალა მუსტაფა ფაშამ იმერეთის მეფე გიორგის, სამეგრელოსა და გურიის მთავრებს წერილები გაუგზავნა. მათგან მორჩილებასა და დახმარებას ითხოვდა. თუ მორჩილებაზე უარს იტყოდნენ, მაშინ ქვეყნის გაპარტახებითა და მოსახლეობის ტყვედ წაყვანით იმუქრებოდა და პირუკუ, თუ ისინი ოსმალო სარდლის თხოვნას შეასრულებდნენ, არც სულთანი დარჩებოდა ვალში.[5]

ლალა მუსტაფა ფაშას სამეგრელოსა და გურიის მთავრებისაგან მოუვიდა

---

1 E. Charrière, Négotiations de la France dans le Levant..., III, 807; S. Schweigger, 83; D. Aydın, Erzurum Beylerbeyliği ve Teşkilati, Kuruluş ve Genişleme Devri, 83; N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 175.

2 H. Özdemir, Artvin Tarihi, 4.

3 მანუჩარის სტამბოლში გამაჰმადიანებასთან დაკავშირებით იხ. N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 174-175.

4 ლაიოშ ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, 71.

5 J. Hammer, Osmanlı Devleti Tarihi, VII, 59; B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri (1572-1590), 41; F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 17; N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 82.

წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამ ორი კუთხის მთავრები ძველთაგანვე ალირ-რებდნენ ოსმალეთის მორჩილებას და ახლაც ელოდნენ სარდალს. გურიის მთავარი ლალა მუსტაფა ფაშასადმი მიწერილ წერილში პირობას დებდა, ყოველ წელს გადაიხდიდა ხარკს; გარდა ამისა ჩიოდა, რომ მისი ქვეყანა შევიწროებული იყო ჩერქეზთა და აფხაზთა გაერთიანებული ლაშქრის თავდასხმებისაგან. საპასუხო წერილში ფაშა ატყობინებდა მთავარს, რომ სულ მალე შემოვიდოდნენ ოსმალეთის ხომალდები ამ რეგიონში და ჩერქეზები ველარ შესძლებდნენ ქართველებისათვის ზიანის მიყენებას. შესაძლებელია, იმერეთის მეფემ, გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა ეს მიზეზი ომში მონაწილეობისაგან თავის დასაღწევად მოიგონეს.[1]

1579 წელს, ლალა მუსტაფა ფაშას სარდლობის პერიოდში, ოსმალეთის ფლოტმა დასავლეთ საქართველოს ნაპირებთან მოაწყო ლაშქრობა. ოსმალეთის სახელმწიფო ცდილობდა საქართველოში თავისი პოზიციების გამაგრებას, სურდა შავი ზღვის სანაპიროები სრული კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა, რათა სანაპიროდან თბილისამდე გარნიზონებისათვის სურსათი და იარაღი უპრობლემოდ ჩაეტანა.

ამავე მიზანს ემსახურებოდა რიონის პირას ციხესიმაგრისა და ნავსადგურების (ფოთის) აშენება. ისინი, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას აღმოუჩენდნენ თბილისსა და შირვანს.

შავი ზღვის სანაპიროზე ციხესიმაგრეების ასაგებად ოსმალებმა ხელოსნები გააგზავნეს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფოთის ციხესიმაგრის აშენებას. ფოთში ციხე-სიმაგრის მშენებლობას ქართველები მტრულად შეხვდნენ. კონსტანტინოპოლში მყოფი უნგრელი დიპლომატის ცნობით: "შეიტყვეს თუ არა ქართველებმა ულუს ალი (ოსმალეთის ფლოტის სარდალი – მ. ს.) ჩვენს მინაზე ციხესიმაგრის (ფოთის) აგებას აპირებსო, ერთიანად გაუზიდიათ ახლომახლო ტერიტორიიდან ვარგისი ქვები, დაუნგრევიათ ძველი ციხის ნაშთები და სამშენებლო მასალა ზღვაში გადაუყრიათ".[2]

გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა უჩიოდა მეკობრეებს. მეკობრეებს ხელში ვინც უვარდებოდათ, მონებად ჰყიდიდნენ ან საზღვაო გზით სხვადასხვა ქვეყანაში აგზავნიდნენ.

კავკასიაში გასასვლელი გზა ოსმალეთის არმიისთვის ჩრდილოეთ-დასავლეთ საქართველოზე გადიოდა. ოსმალთა ვარაუდით, საჭირო იყო ამ გზაზე ჩაეყენებინათ თავისი გარნიზონი და აქედან განეხორციელებინათ კონტროლი საქართველოსა და კავკასიის ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეებისათვის.[3]

ეს ლაშქრობა ოსმალეთმა მოაწყო უშუალოდ იმერეთის დასაქვემდებარებლად, ირანისაკენ გზის გასახსნელად და ამ გზაზე მნიშვნელოვანი კარის – ქუთაისის – ასაღებად.[4]

იმ შემთხვევაში, თუკი ოსმალები შეძლებდნენ მდ. რიონსა (ფაზისი) და აქ მდებარე ქალაქებზე გაბატონებას – იმერეთი, გურია და სამეგრელო მათ კონტროლის ქვეშ იქნებოდა. ლალა მუსტაფა ფაშას მოთხოვნით, კაფუდან ალი ფაშა 40-50 გემით ჩამოვიდა და დასავლეთ საქართველოში ციხეების შეკეთება

1 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 84.
2 ლ. ტარდი, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში, 134-135.
3 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 85.
4 იქვე, 85.

დაინყო. ეს გაუადვილებდა თურქეთს თბილისისა და შირვანის გარნიზონებისათვის დახმარების მიწოდებასა და ხარკის აკრეფას. როცა ყველაფერი ეცნობა სტამბოლს, სასწრაფოდ გადაწყდა საქართველოში ლაშქრობა.[1]

1579 წლის გაზაფხულის დამლევს კაფუდან ქილიჩ ალი ფაშა შავი ზღვიდან მოადგა სამეგრელოს და მდ. რიონის ნაპირზე შეუდგა ციხის მშენებლობას. ამ ციხესიმაგრის მშენებლობა, სადაც მონაწილეობას სამეგრელოდან ჩამოსული ხუროებიც იღებდნენ, 26 ივლისს დასრულდა. რეგიონში ქვა არ მოიპოვებოდა, ამიტომ ციხე ხისაგან აშენდა.[2] ოსმალეთის საბუთებში ხშირად გვხვდება ხისგან აშენებული ფოთის ციხის ლპობისა და მისი შკეთების აუცილებლობის შესახებ ინფორმაცია.

ფოთის აღების შემდეგ ოსმალები მდინარე რიონით ქუთაისისკენ გაემართნენ და მისი დაპყრობაც სცადეს, მაგრამ ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და აიძულეს მტერი უკან დაეხია.[3] ამგვარად, ოსმალეთის ცდა, დაეპყროთ ქუთაისი და აქედან გადაესროლა ჯარი ქართლსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მარცხით დამთავრდა.[4]

იმავე წელს ოსმალებმა ზღვიდან აფხაზეთს შეუტიეს: აიღეს სოხუმი და იქ საბეგლარბეგო (ვიაილეთი) დააარსეს. სოხუმის ბეგლარბეგად დაინიშნა ჩერქეზი ჰაიდარ ფაშა.[5]

ოსმალების მიერ ფოთის დაპყრობის ფაქტს ადასტურებს კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი მ. ჟუიე. იგი 1579 წლის 3 და 18 აგვისტოთი დათარიღებულ წერილებში საფრანგეთის მეფე ჰენრიჰ III-ს ატყობინებდა ოსმალების მიერ ფოთის აღების ამბავს.[6]

სულთნის ხელისუფლებამ, შავ ზღვაზე მთლიანად გაბატონების მიზნით, ფოთში, რომელიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო, ჩააყენა გარნიზონი და აქაურობის დასაცავად სხვადასხვა ზომა მიიღო. კავკასიაში ჩაყენებული გარნიზონებისათვის სურსათისა და იარაღის მიწოდების გარდა, ფოთს კიდევ სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა: უკეთ გააკონტროლებდნენ ისედაც ფართოდ გავრცელებულ ტყვეთა ყიდვა-გაყიდვას, რასაც, როგორც ქართველი მთავრები ჩიოდნენ, ოსმალები ხელს უწყობდნენ. ოსმალებმა მიიღეს სხვა ზომებიც ტყვეთა სყიდვისა და რეგიონში იარაღის გადაგზავნის ასაკრძალად, მეკობრეობის აღსაკვეთად.[7]

ფოთში ოსმალებმა საზღვაო საგამგებლო (Kaptanlık) დააარსეს. ხისგან აშენებული ციხესიმაგრე იქაურ ნესტიან ჰავას ვერ უძლებდა, ლპებოდა და მუდმივად შესაკეთებელი იყო. ამიტომ ოსმალებმა სცადეს ქვის ციხის აშენება. ბათუმის ბეგლარბეგის განკარგულებით, აქ ყოველთვის იდგა ერთი საბრძოლო გემი

1 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 86.

2 B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri, 38; F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 237; N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 85-86; D. Aydın, Erzurum Beylerbeyliği ve Teşkilati, Kuruluş ve Genişleme Devri, 22; İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, III, 41, 124-125.

3 არქანჯელ ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, თბ., 1938, 172.

4 მ. სეანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, 218, 315.

5 F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 19.

6 E. Charrière, Négotiations de la France dans le Levant, ou correspondances, memoires et actes diplomatiques des ambassadeurs de France á Constantinople et des ambassadeurs... a Venise, Raguse, Rome ets., III, 868.

7 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 87.

ციხის დაცვის მიზნით. მოგვიანებით ბრძანება გაიცა, ტრაპიზონი-სტამბოლის მარშრუტის 50 გემიდან ერთი რეისი ქვით დაეტვირთათ და გამოეგზავნათ, რათა გაზაფხულზე დაწყებულიყო მშენებლობა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს ვერ განხორციელდა და შემდგომ წლებში ამ ციხის შეკეთება სულ იდგა დღის წესრიგში.

1581 წელს ბათუმის ბეგლარბეგ აჰმედ ფაშას უცნობებია სტამბოლისათვის, ფოთის ციხე დანგრევის პირასაა და საჭიროებს სასწრაფო შეკეთებასო, ოსმალეთის სარდლობამ მისი შეკეთების გასცა ბრძანება. ამ მიზნით ტრაპიზონისა და ბათუმის ყადიებს მოსთხოვეს ხალხის შეკრება და ციხის გამაგრება. გურიის მთავარმაც მიაშველა ხალხი და როცა ამის შესახებ აცნობა სტამბოლს, მას საპატიო ხალათი უბოძეს. ციხის მშენებლობის მონაწილეებს კი სხვადასხვა ჯილდო გადასცეს. აღსანიშნავია, რომ გურიის მთავარმა თავის დროზე აჭარის ციხის აშენებაშიც მიიღო მონაწილეობა. თურქი მოხელის სტამბოლში გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო, გურიიდან ასობით აზნაური დაგვეხმარა ციხის მშენებლობაშიო.[1]

1582 წელს ოსმალეთის ფლოტმა 50 გემით ჩამოიტანა ქვის მასალა და ფოთის ციხე ხელახლა ქვით აშენდა.[2]

ფოთის სანჯაყი და ნავსადგური თავიდან ერზურუმს ექვემდებარებოდა, მაგრამ 1580 წლის მერე, ბათუმის საბეგლარბეგოს დაარსების შემდეგ, ფოთის ციხისა და რეგიონის დაცვა ბათუმს დაევალა. მხოლოდ მოგვიანებით, როცა ფოთში პორტი დაარსდა, მისი დაცვა ამ რეგიონს დაევალა.

1584 წლის 26 იანვარს ათინას (ფაზარი), არნავასა და გონიოს ყადებისათვის გაგზავნილი ფირმანის მიხედვით, ფოთის კაპიტნად დანიშნულ ბუდაქ რეისს ევალებოდა ციხის შეკეთება, რისთვისაც გონიოში მდგარი სამი საბრძოლო გემით საჭირო სამშენებლო მასალას შეიტანდნენ.[3]

ფოთის ციხის გამაგრებასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი იყო მისი დაცვა. აქ მრავალი წინააღმდეგობა არსებობდა. მცველები ვერ იტანდნენ ფოთის ჰავას და გარბოდნენ, არ სურდათ აქ სამსახური. რეგიონი მართლაც ჭაობიანი იყო, რაც სახიფათო ავადმყოფობების გავრცელების საფრთხეს ქმნიდა. აქაურობა მალარიის გავრცელების ცენტრი იყო.[4]

ოსმალეთის სახელმწიფო დისციპლინარულ სასჯელით ან რაიმე მცირე დანაშაულის გამო დასჯილების ფოთში გაგზავნით შეეცადა ამ პრობლემის გადაწყვეტას. მომდევნო წლებში მენიჩბეების ნაკლებობას, რასაც ფოთის ნავსადგური მუდმივად განიცდიდა, ბათუმი აბალანსებდა.

ციხის მცველები ადგილობრივ მოსახლეობასთან ცუდ დამოკიდებულებაში იყვნენ, რისთვისაც ხშირად ისჯებოდნენ.

შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე სხვა ციხესიმაგრეებს ფოთის დაცვის უზრუნველყოფა დაევალა. კაპიტანმა მუსტაფამ ახლომდებარე ციხისთავებისაგან მოითხოვა მეომრებისა და მცველების გამოყოფა. ტრაპიზონის, რიზესა და გონიოს ციხისთავებსაც იგივე დაევალათ. ფოთის ციხის მცველებად გამწესებული ჯარისკაცები გათავისუფლებული იყვნენ ლაშქრობიდან, ხოლო ვინც არ

1 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 83-89.
2 S. Bilge, Osmanlı Devleti ve Kavkasya, 25.
3 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 83-89.
4 იქვე.

ცხადდებოდა დანიშნულ ადგილზე, ისჯებოდა. ბათუმისა და ფოთის რეგიონის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ იქ ახალი მეთაურები დანიშნეს.[1]

ფოთის სანჯაყის მომარაგებას კაფა და ტრაპიზონი უზრუნველყოფდა. ბათუმისა და ტრაპიზონის ყადები გათავისუფლდნენ ამ მოვალეობისაგან. ბათუმის ბეგლარბეგს დაევალა ფოთის მომარაგება სურსათით, დენთით, იარაღითა და ფულით. ფოთის ციხის შეკეთებაში მონაწილენი და მცველები საჩუქრდებოდნენ.

ფაჰრეთინ კირზიოღლუსა და ნები გუმუშს თურქული არქივიდან მოტანილი აქვთ ფაქტები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩერქეზი და აფხაზი მეკობრეების თავდასხმის შესახებ.

წყაროებში ნათქვამია, რომ აფხაზი მეკობრეები ზღვის სანაპიროს ნავებით მიუყვებოდნენ და თავს ესხმოდნენ გურიის, გონიოს, არხავის, ათინას ნაპირებს, რომლებიც ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდნენ. ამ თავდასხმებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასაწყისიდან, ტრაპიზონის დაპყრობის დროიდან მოყოლებული.

1571 წელს აფხაზმა მეკობრეებმა არხავის მაზრის სოფელი სიდერე და გონიოს მაზრის სოფ. მაკრიალი მოაოხრეს. ბევრი ხალხი დახოცეს, დაჭრეს, 47 კაცი ტყვედ წაასხეს და საქონელიც გადენეს. დაზარალებული, შეშინებული და დათრგუნული მოსახლეობა მთლიანად დაიფანტა და გაიქცა. ამის გამო ტრაპიზონის ბეგს ებრძანა, ბათუმის ბეგთან ერთად, იმ რეგიონის გემები შეეიარაღებინა და მეკობრეებისათვის ჭკუა ესწავლებინა. ორ დღეში იმავე მოთხოვნით ტრაპიზონის ბეგსა და არხავის ყადს დაეგზავნა ფირმანები. ცნობილია, რომ ამის მერე მეკობრეები გამოსულან სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი დაუმარცხებია.[2] ოფიციალურ დოკუმენტებში თავდამსხმელებად, ძირითადად, აფხაზებია მითითებული, თუმცა ამათთან ერთად მეგრელებიცაა მოხსენებული. ზოგიერთი დოკუმენტების მიხედვით, თავდამსხმელები სამეგრელოს მთავარი და მისი ვაჟები იყვნენ. არსებობს ვარაუდი, რომ დადიანი აფხაზებსა და ჩერქეზებთან ერთად გურიასაც ესხმოდა თავს. გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა აფხაზთა თავდასხმების აღსაკვეთად მოინდომეს ერთი-ორი ნავის ყოლა და ბათუმიდან შესაბამის საფასურად ნავმშენებელი გამოითხოვეს, რაც ერზურუმის ბეგლარბეგს შეატყობინეს და ნებართვაც სთხოვეს. ისიც საჭიროა აღინიშნოს, რომ აფხაზებთან ერთად ამ თავდასხმებში ჩერქეზებიც მონაწილეობდნენ.[3]

მეკობრეთა თარეშის აღსაკვეთად მთელი რიგი ზომები იქნა მიღებული. ეს, ძირითადად, ბათუმისა და ტრაპიზონის ბეგებს ევალებოდათ. ბათუმის საბეგლარბეგოს დაარსების შემდეგ, ამ რეგიონის დაცვა ბათუმის ბეგლარბეგს დაეკისრა. სასაზღვრო ბეგლარბეგებს შეიარაღებული ნავების მზადყოფნა და აფხაზთა თავდასხმების მოგერიება დაევალათ. ბათუმის ბეგლარბეგმა ფაზისის (ფოთისა) ციხის დასაცავად და საერთოდ, აფხაზთა და ჩერქეზთა გამუდმებული თავდასხების მოსაგერიებლად, მის დაქვემდებარებულ სანჯაყებში თიმარისა და ზეამეთის მფლობელთა განვევის უფლება ითხოვა.

1 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 90.

2 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 92; F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 14.

3 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 96.

საზღვრის დასაცავად გამოგზავნილი ჯარისკაცები გარბოდნენ, ან არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, თავდასხმები კი გრძელდებოდა. ამიტომ დღის წესრიგში დადგა იმათი დასჯის საკითხი, ვინც დაკისრებულ მოვალეობას უგულებელყოფდა.

1560 წელს აფხაზთა თავდასხმის შემდეგ ერზურუმის ბეგლარბეგმა მდგომარეობა სტამბოლს აცნობა და თავდაცვის მიზნით ათი ნავის გაკეთება და კაპიტნისა და თიმარის მფლობელი სიფაჰიების გამოგზავნა ითხოვა. პასუხად 5 გემის აშენების, კაპიტნის დანიშვნის და სიფაჰიების გაგზავნის ნებართვა მიიღო. ტრაპიზონის ნავები ყოველ წელს გონიოში იგზავნებოდა დაცვის სამსახურის შესასრულებლად, მაგრამ დროულად ვერ ჩადიოდა ადგილზე და ამის გამო პრობლემები იქმნებოდა. საზღერის დაცვისა და აფხაზთა თავდასხმების მოსაგერიებლად სასაზღვრო ციხესიმაგრეებიც შეაკეთეს.

მეკობრეების წინააღმდეგ მიღებული ყველაზე ეფექტური ზომა იყო სოხუმის მხარეს იარაღისა და დენთის გადატანის მანამდე არსებული აკრძალვის კიდევ უფრო გაძლიერება. იმ რეგიონისაკენ მიმავალი გემები მკაცრად კონტროლდებოდა, რათა აკრძალული ნივთები აფხაზეთში არ მოხვედრილიყო. მაგრამ აკრძალვა განსაკუთრებით გამკაცრდა ლალა მუსტაფა ფაშას საქართველოში ლაშქრობის დროს. თუმცა, აკრძალვის მიუხედავად, მეკობრეები მაინც ახერხებდნენ იარაღის გადატანას.

ეს აკრძალვა ფაზისის ციხის აშენების შემდეგაც გრძელდებოდა. ბათუმის ბეგლარბეგს მოეთხოვებოდა თოფი, კალა და სხვ. აკრძალული მასალა არ გაეცა და არ გაეტარებინა აფხაზეთ-სამეგრელოს მხარეს. ქართველ ბეგებსაც მოსთხოვეს, არ მიეცათ უფლება გურიის სადმელის ნავსადგურიდან აკრძალული მასალის გადატარებისა. კაპიტან მუსტაფასათვის მიწერილ ფირმანში ნათქვამი იყო, რომ, აკრძალვის მიუხედავად, ზოგი გემი მაინც ახერხებდა იარაღის გაპარებასა და მტრისათვის მიყიდვას. ამიტომ მას პირადად ევალებოდა პრობლემის მოგვარება.[1]

ბათუმის ბეგისა და ბათუმში მდგარი სამხედრო ფელუკების კაპიტან ისმაილის სახელზე გაგზავნილ ფირმანში ნათქვამი იყო: „მოვიდა ცნობა, რომ აფხაზეთსა და სამეგრელოში მიმავალი სარეისო გემები ახერხებენ ზარბაზნების, თოფების, ხმლებისა და მისთ. საომარი იარაღის, აგრეთვე, მარილის მიწოდებას. აიკრძალოს ყოველივე ზემოთქმულის ტრანსპორტირება". სარეისო გემების დაკავებისა და დამსჯელი ღონისძიებების გასატარებლად გაგზავნეს ფაზისის კაპიტანი ბუდაქ ბეი. ბათუმის ბეგს დაევალა ყველა ზემოთ მიმავალი გემის კონტროლი, იმ გემებისაც კი, რომელთაც სტამბოლის ნებართვა ჰქონდათ. რეგიონის ყადიებს დაურიგდათ ბრძანება, უზრუნველეყოთ იმ გემების შეუფერხებელი სარეისო მსვლელობა, რომელნიც აკრძალულ ნივთებს არ ეზიდებოდნენ. სამსუნის, სინოპისა და კაფას ყადიებს მოუვიდათ ფირმანები, რომელთა თანახმადაც, არ უნდა დაეშალათ სოხუმისკენ მუსტაფა მუჰარემისა და მეჰმედის კაპიტნობით მიმავალი გემების მოძრაობა.[2]

აკრძალვა გახდა მიზეზი იმერეთთან ვაჭრობის საგრძნობლად შემცირებისა. ვაჭრობა ხორციელდებოდა შეზღუდულ ფარგლებში, მხოლოდ ნებართვით. მიღებულ ზომებს არ უნდა შეეზღუდა იმერეთთან ვაჭრობა. ოსმალეთი ვაჭრო-

1 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri. 96.

2 იქვე. 97.

ბით მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს სანაპიროებთან. სხვა საქონელთან ერთად აქედან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ კანაფი.

აფხაზეთისაკენ იარალისა და ტყვია-წამლის ტრანსპორტირების აკრძალვასთან ერთად ბევრი სხვა ზომაც მიიღეს, მაგრამ თავდასხმები არ შეწყვეტილა. თუმცა საკმაოდ შეამცირდა. 1590 წელს გურიაზე აფხაზების თავდასხმის შესახებ ცნობა დაცულია ვახუშტისთან.

აფხაზი მეკობრეები თავს აფარებდნენ დასავლეთ საქართველოს სანაპიროებს, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ვერ მოხერხდა მათი მოქმედებების აღკვეთა.

გურიის მთავრისადმი გაგზავნილ წერილში აღწერილი იყო როგორ დაესხნენ გონიოს აფხაზები 20-30 ფელუკათი (პატარა გემი), გადაწვეს სოფლები და ტყვედ წაასხეს მოსახლეობა. როცა გონიოს კაპიტანი წამოეშველა ხალხს, ბანდიტები გურიისაკენ გაიქცნენ და იქ შეაფარეს თავი. კაპიტანმა მოითხოვა მათი ჩაბარება, მაგრამ უშედეგოდ. ფირმანში ნათქვამი იყო, მსგავს შემთხვევებს წერტილი უნდა დასმოდა და ოსმალეთის მორჩილებაში მყოფი ტერიტორიების მოსახლეობას დახმარება უნდა გაეწია ადგილობრივი ფლოტის კაპიტნებისთვის.[1]

ოსმალეთის სახელმწიფო მეკობრეობის აღკვეთით ძალიან იყო დაინტერესებული. მიუხედავად აკრძალვისა, მრავალი ოსმალო ტყვეთა ვაჭრობას ეწეოდა. კავკასიაში ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა პირდაპირ იყო მეკობრეობასთან დაკავშირებული, ამიტომაც გახდა აუცილებელი მეკობრეობის აღკვეთა.

საქართველოში ტყვეებით ვაჭრობა XIV-XV საუკუნეებში დაიწყო და საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიში ხასიათი XVI-XVII საუკუნეებში მიიღო. ეს საქართველოსთვის უდიდესი სოციალური უბედურება იყო, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის უცხოეთში გაყიდვას ნიშნავდა.

ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა შავი ზღვისპირეთში გააქტიურდა XIII საუკუნეში, როცა ლათინთა იმპერიის დამხობის შემდეგ გენუამ უზრუნველყო თავისი გავლენა შავ ზღვაზე. ქალაქი კაფა ყირიმში იქცა გენუელთა მთავარ დასაყრდენად. დუნაის აუზში, კილა, ტანა, ტრაპიზონი წარმოადგენდნენ ტყვეთა გაყიდვის მთავარ კარებს.

ნ. ბერძენიშვილისა და ვ. გაბაშვილის დაკვირვებით, ტყვეებით ვაჭრობა XIV-XV საუკუნეების საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. ეს „სენი", უმთავრესად, დასავლეთ საქართველოში იკიდებდა ფეხს,[2] თანდათან ძლიერდებოდა და განსაკუთრებით საშიში ხასიათი იღებდა იმერეთში, გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. მთელი ორგანიზაციები არსებობდა, რომელთა მთავარ საქმიანობას ხალხის დატყვევება და მონებად გაყიდავა შეადგენდა. ტყვეებს, უპირველესად, ფეოდალები აბატაცებინებდნენ. მათ ამ საქმიანობისთვის თავიანთი ხალხი ჰყავდათ, გამომუშავებული ჰქონდათ ადამიანთა გატაცებისა და გაყიდვის საკუთარი მეთოდებიც.[3]

---

1 N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 97-98.

2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, 170-172; ვ. გაბაშვილი, ტყვის ყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში (ქართველ ტყვეთა ისტორიის ევროპული მასალები), მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორია, სერია №4, 1983, 29-48.

3 პ. გუგუშვილი, საქართველოს ეკონომიური განვითარება XIX-XXI სს., I, თბ., 1949, 306.

საქართველოს ზღვისპირეთში ტყვეებით ვაჭრობის ადგილები იყო: ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ანაკლია, სოხუმი, ანაკოფია და ა. შ.

აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში მდიდარი ფაქტობრივი მასალა დაცული ამ საკითხთან დაკავშირებით, საიდანაც ირკვევა, რომ ყოველივე ამან მეტად შემზარავი და მახინჯი ფორმა მიიღო.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის დონ კასტელა: გურიის სამთავროში, – წერს იგი, ზღვის პირად, სახელდობრ ქობულეთში, მუდამ ტყვეებით ვაჭრობენ. მისი დაკვირვებით, ამას ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ ახლოს მდებარე რეგიონებიდან – რიზე, გონიო, ტრაპიზონიდან – მოდის მრავალი ვაჭარი, მოაქვთ ბლომად ფული და ტანსაცმელი, რაც ფრიად ესაჭიროება აქაურ ხალხს, ოსმალები, სამაგიეროდ, მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომაც მოჰყავთ აქ ოსმალებზე ტყვედ გასაყიდად ქართველებიც, კახელებიც და აფხაზებიც.[1]

სულთან კანუნის (1520-1566) დროინდელი კაფის კანონ-ნამედან ირკვევა, რომ აქ სოხუმიდან ჩამოჰყავდათ მონები გასაყიდად.[2]

საქართველოში რომ ძალიან იყო გავრცელებული ტყვეებით ვაჭრობა, ამას ადასტურებს თურქი მოგზაურის ევლია ჩელების შენაძენიც, მან საქართველოში ხანმოკლე მგზავრობის დროს საჩუქრისა თუ ყიდვის შედეგად 18 მონა წაიყვანა.[3]

ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე თავისუფალი იყო სხვა ეროვნების მონათა და ტყვეთა გაყიდვა, ოსმალო ქვეშევრდომების (მაჰმადიანების) დამონება და გაყიდვა კი – აკრძალული.

ტყვეთა ვაჭრობის აღსაკვეთად ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა დიდი მონდომება და მცდელობა გამოიჩინეს. ტყვეთა სყიდვა საქართველოსთვის მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. ახალგაზრდა ჯანსაღი მოსახლეობა ტყვედ იყიდებოდა, რაც ქვეყნის მოსახლეობის პოტენციალს საგრძნობლად აქვეითებდა. ქართველების ტყვედ გაყიდვით შეწუხებული იმერეთის მეფეები ამის აღსაკვეთად სხვადასხვა ზომას მიმართავდნენ. მაგალითად, მეფე ბაგრატ III-მ კათოლიკოს-პატრიარქის მხარდაჭერით ჩატარებულ თათბირზე გამოაცხადა, ვისაც ტყვეთა გაყიდვაში დაიჭერდნენ, ადგილზე დასჯიდნენ.

რამდენ ხანს გაგრძელდა ოსმალთა ჯარის ყოფნა დასავლეთ საქართველოში ცნობილი არ არის. თურქი ისტორიკოსი ნები გუმუში წერს, რომ ოსმალები იქ დიდხანს დარჩნენ,[4] მაგრამ არ აკონკრეტებს დროს.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, მთავარმა დადიანმა მალე დაანგრია ფოთის ციხე და იქიდან 25 ზარბაზანი წამოიღო.[5] სამწუხაროდ, ა. ლამბერტი არ მიუთითებს ოსმალთაგან ფოთის გათავისუფლების თარიღს.

ლევან II დადიანი სამეგრელოს 1611-1657 წლებში განაგებდა. საფიქრებელია, ფოთიდან ოსმალთა განდევნა უნდა მომხდარიყო მისი ზეობის პირველ წლებში. ცხადია, ფოთიდან წასვლის შემდეგ ოსმალები დასავლეთ საქართველოში აღარ დარჩებოდნენ.

---

1 დონ ქრისტეფორო კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976, 168.

2 M. Berindei et L. Veinstein. Reglements de Süleyman Ier concernant le liva de Kafe, Cahier du monde russe et soviétique XVI, Paris, 1975, 57-104.

3 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, I, 102-104, 302-341.

4 N. Gümüş. XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri. 85-86.

5 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 172.

ცნობილმა თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ, რომელმაც დასავლეთ საქართველოში XVII ს-ის 40-იან წლებში იმოგზაურა, საკმაოდ დაწვრილებით აღწერა სამეგრელო და აფხაზეთი. მას არსად მიუთითებია ფოთსა და სოხუმში თურქთა გარნიზონების ყოფნის შესახებ და საერთოდ, ამ რეგიონში იგი არ შეხვედრია თურქული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.